№37, ოთხშაბათი

აპრილი, 2002 წელი

ფასი 40 თეთრი

# ინფორმაცია

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2002 წლის 23 მარტს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. ხაშურის რაიონის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მიმოხილვა /დეპუტატი გ. იმერლიშვილი/;
2. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და კრიმინალური ინტელიგენცია /დეპუტატი თ. კუბლაშვილი/;
3. განცხადება ქ. ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას კოლხური ოდის დარბევის შესახებ;
4. სხვადასხვა.



# 7 აპრილს აღინიშნება ხარების საუფლო დღესასწაული

## მოკითხვა მთავარანგელოზისა მიერ ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ! მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.

# საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის სპიკერის, ეროვნული მოძრაობის ლიდერის მანანა არჩვაძე-გამსახურდიას სიტყვა, წარმოთქმული 2002 წლის 25 მარტს, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს გამართულ მიტინგზე

მადლობა დღევანდელ სტუმრებს მობრძანებისთვის. დღევანდელი დღე ისტორიული თარიღი გახლავთ იმ დღეთა შორის, რომელსაც საქართველო განსაკუთრებულად აფასებს. ამასთან, დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია უშუალოდ ამჟამინდელი შინაარსითაც. დღევანდელ დღეს ერთიანდება საქართველოს ყველა ის პარტია, ყველა ის ფრაქცია, რომელთაც სურთ საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა.

მე, უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა გამოვხატო ყველა იმ ქართველისადმი, ვინც აქ ბრძანდება. უკვე რამდენიმე დღეა ეს ადამიანები მუხლჩაუხრელად დგანან და ელოდებიან საქართველოს ჭეშმარიტ დამოუკიდებლობას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ზვიად გამსახურდიამ და მისმა ქრისტესმიერმა ძმამ მერაბ კოსტავამ. დაე, აღსრულდეს მათი ოცნება. დაე, აღსრულდეს ნება ღვთისა. დღევანდელი დღე იყოს საფუძველი ჩვენი ურთიერთობის განმტკიცებისა, ჩვენი სიყვარულისა, იმ სითბოსი, რომელსაც გვიგზავნიან ზეციური საქართველოდან მერაბი, ზვიადი, დიდი ილია...

დაე, ჩვენი გზა იყოს სათნოებისა და მიტევების გზა, თუნდაც ეკლიანი გზა, მაგრამ გზა გამარჯვებისა. ჩვენ არასოდეს გვივლია და არც მომავალში ვივლით ბარაბას გზით; ჩვენ საქართველოს თავისუფლებისა და გადარჩენისაკენ მიმავალ გზაზე ვუხმობთ ყველას, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული. ეს გზა სიმართლისა და ღირსების გზაა. ეს გზა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენის გზაა! ვინც მას გაემიჯნება, საქართველოს ბედი არ აინტერესებს, მისი მომავალიც, შესაბამისად, მძიმე იქნება.

ამ ბოლო ათი წლის მანძილზე ყველაზე მეტი ტრაგედიები ზვიად გამსახურდიას ოჯახმა და პრეზიდენტის - კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მხარდამჭერებმა გადავიტანეთ; ჩვენ გვხვრეტდნენ, გვდევნიდნენ, გვამცირებდნენ... მაგრამ საქართველოს გადასარჩენად, საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს გადასარჩენად ჩვენ მზადა ვართ ვიაროთ უფლის მიერ ნაჩვენები მიტევების გზით, მივუტევოთ ყველას!

საქართველოს ამჟამად ისტორიული ჟამი უდგას: მძიმე კრიზისიდან მალე გამოვალთ, თუკი საქართველოს ძირითადი პოლიტიკური სპექტრი საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასთან კონსესუსის გზით მივაღწევთ ჩვენი ქვეყნისთვის საჭირო შეთანხმებებს.

მე ყველა აქ მყოფთ უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, ვინაიდან დღევანდელი დღე გადამწყვეტი მომენტია საქართველოს უახლეს ისტორიაში. XX საუკუნე დამთავრდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით, მაგრამ იმედს გამოვთქვამ, რომ მალე ბედნიერი წუთები დაგვიდგება; გაუმარჯოს დღევანდელ დღეს! გაუმარჯოს კარს მომდგარ ცხრა აპრილს - ჩვენი გამარჯვების დღეს!

მინდა, კიდევ ერთხელ მოგესალმოთ და მოგეფეროთ ყველას, ვისაც ეს გზა აქვს არჩეული, ყველას, ვინც ჩუმად, უპრეტენზიოდ და მტკიცე ერთგულებით ემსახურება თავის სამშობლოს, ყველას, ვინც ვერ დალალა ათწლიანმა კოშმარმა, ვისაც მამულის აყვავების რწმენა არ დაკარგვია, – და მინდა, გითხრათ: ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ, თუ ერთად ვიქნებით, თუ სულიერად არ გავტყდებით და თუ არასოდეს შეველევით სიმართლეს. ყველას ახსოვდეს: აქ დგანან სიმართლის მოსარჩლენი!

# სახელმწიფო კანცელარიის წინ გამართული აქციის მონაწილეებს!

ჩემო შვილებო!

მთელ საქართველოს მოგილოცავთ კანონიერი პრეზიდენტის დაბადების დღეს.

უკვდავი იქნება მისი სახელი ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. მოგილოცავთ რეფერენდუმის დღეს, ამ დღეს ჩემი ზვიადის წინამძღოლობით დიდი გამარჯვება მოვიპოვეთ.

მივესალმები თქვენს აქციას და სულითა და გულით გიერთდებით. ჩათვალეთ, რომ მეც თქვენს გვერდით ვდგავარ.

ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლაში!

ამინ! ამინ! ამინ!

*ოლღა დემურია-კოსტავა*

31. 03. 2002

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის

# განცხადება

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას „ოდიშური სახლის“ დარბევის შესახებ

დიდი ქართველი მწერლის ბატონ კონსტანტინეს, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ოჯახის მიმართ ერთსაუკუნოვანი ტერორი გრძელდება.

1989 წლის 24 მაისს დიდი კონსტანტინეს აგარაკი ლიძავაში გადაწვეს, 1992 წლის 15 მარტს გაძარცვეს და გადაწვეს კოლხური კოშკი და 2002 წლის 23 მარტს კი დაარბიეს, გაძარცვეს ქ. ზუგდიდში ბატონ ზვიად გამსახურდიას „ოდიშური სახლი“.

უკანონო რეჟიმის მიერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს მოსახლეობის მიმართ ტერორი და რეპრესიები გრძელდება. უკანასკნელ ხანებში მრავალგზის განხორციელდა ტერაქტები ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასა და მისი ოჯახის მიმართ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა გამოთქვამენ მწვავე პროტესტს შევარდნაძის ხუნტის მიერ ბატონ ზვიად გამსახურდიას „ოდიშური სახლის“ გაძარცვისა და დარბევის გამო და მიმართავენ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს, რათა სათანადო შეფასება მისცეს ვანდალიზმსა და ტერორს საქართველოში.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო,**
**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა.**
**თბილისი, 2002 წლის 23 მარტი.**

23 მარტს ზუგდიდში დაირბა და გაიძარცვა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ოდიშური სახლი. 23 მარტსვე ამ ფაქტის გამო კანცელარიის შენობასთან გაიმართა საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის საპროტესტო მიტინგი, რომელიც გადაიზარდა მშვიდობიან, პერმანენტულ, გამაფრთხილებელ პოლიტიკურ აქციაში. აქცია ამჟამადაც გრძელდება; აქციის მთავარი მოთხოვნაა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს - სამართალმემკვიდრეობის აღდგენა. აქციაზე ყოველდღიურად იმართება საინფორმაციო ხასიათის მიტინგები.

**2002 წლის 9 აპრილს დილიდან დაგეგმილია სახალხო შეკრება.**

საქართველოს მომავალი საქართველოს პატიოსანი მოქალაქეების გააქტიურებაშია: მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის გზით ჩვენ ერთად შევძლებთ სამართლებრივი, დემოკრატიული და ქართველური კულტურის აღორძინებაზე ორიენტირებული სახელმწიფოს აშენებას!

# ოდიშური სახლის დარბევა, დე ფაქტო ხელისუფლების მიერ პრეზიდენტ გამსახურდიას უკვდავსაყოფი ღონისძიებანი, კანონიერი ხელისუფლების მიზანი და ორი პოლიტიკური „აუზი“

23 მარტს ზუგდიდში დაირბა და გაიძარცვა კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების სახელთან დაკავშირებული მესამე სახლი - **ოდიშური სახლი:** პატივცემულ მკითხველს შევახსენებთ, რომ პირველი - **აფხაზური კოშკი** გადაწვეს აფხაზეთში მოპარპაშე ბანდიტებმა, მეორე - **კოლხური კოშკი** - საქართველოს ხელისუფლებაში პუტჩისა და ძალადობის გზით მოსულმა ხუნტამ...

**ხაზგასმით აღვნიშნავთ:**

პირველი ვანდალური აქტის განზოგადებად იქცა აფხაზეთის ფაქტობრივი დაკარგვა, ხოლო მეორე ვანდალური აქტით გასიმბოლიზდა საქართველოს ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების მქონე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა და "უცხო" ქვეყნებისგან შექმნილი საქართველოს გამყიდველი ხუნტით მისი ჩანაცვლება...

რად შეიძლება განზოგადებულიყო ოდიშური სახლის დარბევა?

ძარცვისა და დარბევის შემკვეთთ ეგონათ, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მემკვიდრეთა და ოჯახის წევრთა რისხვა თავს დაატყდებოდა კონკრეტულ ქალაქს თუ კონკრეტულ რეგიონს; შედეგად, მომავალ პოლიტიკურ ბატალიებში ეროვნული მოძრაობის დღევანდელი ლიდერი ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა დაკარგავდა გავლენას ამ რეგიონში...

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ გარკვეული ძალები ერთ საუკუნეზე მეტია ცდილობენ სამეგრელო, აჭარა, ჯავახეთი და სხვა ქართული რეგიონები დაუპირისპირონ დანარჩენ საქართველოს; კერძოდ, შექმნეს სვანური ანბანი, მეგრული ანბანი, ხელოვნური ავტონომიები... ამჟამად ცდილობენ შექმნან მეგრული სამწიგნობრო ენაც (სინამდვილეში სამეგრელოს ართმევენ 17-საუკუნოვან წერილობით კულტურას!); იყო და არის მცდელობანი შექმნან მეგრული ავტონომია, მხედრიონით არბევდნენ სამეგრელოს, რომ თბილისისადმი უნდობლობა ჩაენერგათ( არადა, დამრბევთა ბელადები - სიგუა, კიტოვანი, იოსელიანი, კვირაია, გულუა, ჭანტურია... სულაც არ არიან კახელები)... ქუჯის, იოვანე ლაზის, ჭყონდიდლების, გამსახურდიების, ჩიქობავას, ჯანაშიას, თოფურიას დროს მეზობელ იმპერიებს ეს არ გამოუვიდათ!..

ზვიად გამსახურდიას მეუღლემ და საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის ლიდერმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, კარგად იცოდა რა ეს ყველაფერი, ზუგდიდში წასვლის ნაცვლად აქცია დაიწყო საქართველოს დე ფაქტო ხელისუფლების ადგილსამყოფელთან - ე.წ. სახელმწიფო კანცელარიასთან; აქციას შეუერთდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლებაც, მრგვალი მაგიდაც და ფართო საზოგადოებაც... აქციის მონაწილეთა მთავარი აზრი ასე დეკლარირდა:

**სამივე ვანდალური აქტის შემსრულებლებს ერთი შემკვეთი ჰყავდათ - საქართველოს დაშლის მოსურნე ის ძალები, რომელთაც პუტჩითა და პუტჩისშემდგომი ძარცვით გაანადგურეს და გაასხვისეს საქართველო! არსებული ვითარებიდან გამოსავალი მხოლოდ მაშინ მოიძებნება, როცა საქართველოში აღსდგება სრული ლეგიტიმურობის მქონე კანონიერი ხელისუფლების - საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს - სამართალმემკვიდრეობა!**

აქცია დღემდე გრძელდება და ნელ-ნელა იკრებს არა მხოლოდ საზოგადოებრივ ყურადღებას, არამედ, ლეგიტიმურობის აღდგენის იდეის გარშემო აერთიანებს ცნობილ პოლიტიკურ ძალებს...

პირველ რიგში აღსანიშნავია ქ-ნი მ. არჩვაძე-გამსახურდიას განცხადებები, რომლებიც, ერთი მხრივ, კეთდება ოლღა ჭავჭავაძისებრი მიმტევებლობის ველში, მეორე მხრივ კი, ზვიად გამსახურდიას პრინციპულობით აღასტურებს ორი წლის წინ მრგვალი მაგიდის მემორანდუმში გამოქვეყნებული კურსის ურყევობას - **საქართველოს გადაარჩენს მხოლოდ სამართლებრივი, ლეგიტიმური, საყოველთაო არჩევნები, რომელიც დაინიშნება და ჩატარდება ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის მიხედვით!**

კანცელარიის წინ მიმდინარე მშვიდობიანი აქციის მონაწილეები ყოველდღიურად მართავენ მიტინგებს, სადაც, არაიშვიათად, სტუმრად მოსული პარტიის წარმომადგენლებიც გამოდიან. მათი დიდი ნაწილი იზიარებს სამართალმემკვიდრე არჩევნების იდეას, მაგრამ ზოგი გამომსვლელი ეშმაკობს: მოდის აქციაზე, გამოდის მიტინგზეც, რომ ეროვნულ მოძრაობასთან "ჩათვლა" მიიღოს, მაგრამ გვერდს უვლის მრგვალი მაგიდის აქციის ძირითად მოთხოვნას - **ლეგიტიმური ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენას...**



კარლო სალუქვაძის ფოტოები.

რამდენადაც ჩვენი მიზანია საქართველოს პოლიტიკური სპექტრის გარშემოკრება ლეგიტიმური არჩევნების იდეის გარშემო, მე პიროვნულად არავის შევეხები, მაგრამ, სამაგალითოდ, განვიხილავ და ვუპასუხებ ზოგი სტუმრისგან გამოთქმულ მოსაზრებას:

*1. ერთმა სტუმართაგანმა ქვეტექსტით გვითხრა: "მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ნუღარ ვილაპარაკებთ კანონიერი ხელისუფლების აღდგენაზე; ახლა სხვა დროა და ამ დროის რეალიების გათვალისწინებით ვშვათ ჩვენი მყოოფადი"...*

**ვპასუხობთ:**

ილია ჭავჭავაძემ ეს ფრაზები სულ სხვა კონტექსტში გამოიყენა; პარალელი უხერხულიც კია! მრგვალი მაგიდა თვლის: საქართველოს სახელმწიფოს მოწყობა უნდა დაეფუძნოს სამართლებრივ პრინციპს; ვინც სირაქლემას როლს არ თამაშობს, ის ხედავს, რომ საქართველოში ფუნქციონირებს ფაქტობრივ ძალაუფლებაწართმეული, მაგრამ ლეგიტიმაციის მქონე კანონიერი ხელისუფლება, რომელსაც არ გამოუცხადებია თვითდაშლა, არავისთვის გადაუცია ლეგიტიმაცია-სამართალმემკვიდრეობა... შევარდნაძის ხელისუფლებას კი (დე ფაქტო პარლამენტსა და მთავრობას!) ფიზიკური ძალაუფლება აქვს, მაგრამ სამართლებრივად უწარსულოა - საქართველოს დამაქცევარი ხუნტის მემკვიდრეა, გუმბარიძის ხელისუფლების მსგავსად! **ლეგიტიმური ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის აღდგენით საქართველო გათავისუფლდება იმ დამაკაბალებელი ხელშეკრულებებიდან, რომელსაც ხელი მოაწერა უკანონო ხელისუფლებამ; გაჩნდება შესაძლებლობა, გადაისინჯოს ვალების საკითხი, საქართველო თავს დააღწევს ჯაყოს მარგოს სინდრომს...**

*2. მეორე სტუმარმა ბრძანა: მართალია, მოხდა პუტჩი, მაგრამ მერე ხალხმა შევარდნაძის არჩევით გადაირჩია გამსახურდია; ახლა საჭიროა ყველა მხარემ მონაწილეობა მიიღოს ვადამდელი არჩევნების მომზადებაში; განა ასე არ გააკეთა ზვიად გამსახურდიამ? მითუმეტეს, აგერ, შევარდნაძემ ხომ აღიარა გამსახურდიას და მისი ოჯახის სიმართლე!"*

**ვპასუხობთ:** დავიწყოთ ბოლო საკითხიდან: შევარდნაძე იძულებული გახდა ეს გაეკეთებინა! გასაკვირი ის უფროა, აქამდე როგორ შეძლო მან ზვიად გამსახურდიას სიმართლის დამალვა თუნდაც ბრმათათვის! შევარდნაძის პარლამენტის ფრაქციები ამ დადგენილების მიღებისას ერთმანეთს აყვედრიდნენ, რომ ამ დადგენილებით თავიანთ მომავალ გარანტიებს იჭედავენ... ეს დადგენილება, რა თქმა უნდა, პოზიციების დაახლოებაცაა, მაგრამ მრგვალი მაგიდის" მიზანი არაერთხელ გაცხადდა (იხ., მაგ. მრგვალი მაგიდის" სპიკერის მ. არჩვაძე-გამსახურდიას მიერ ორი წლის წინ გამოქვეყნებული მემორანდუმი!)... კიდევ ერთხელ განვმარტავთ:

1990 წელს აღარ არსებობდა ნოე ჟორდანიას საკანონმდებლო ორგანო; მაშინ ვის უნდა დაენიშნა არჩევნები? გუმბარიძის უკანონო ხელისუფლებამ არჩევნები დანიშნა, მაგრამ იგი ჩატარდა არასაბჭოთა, მრავალპარტიული მოდელით; რაც შეეხება ლეგიტიმაციის ასპექტს, ზვიად გამსახურდიამ გენიალურად გაიაზრა საერთაშორისო და საშინაო ვითარება და ნოე ჟორდანიას ხელისუფლების შეუწყვეტელი ლეგიტიმურობა კანონიერად მიიღო რეფერენდუმის გზით!

დღეს რეფერენდუმის ხარჯების გაწევა სრული უაზრობაა, ვინაიდან არსებობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც, არსებულ პოლიტიკურ სპექტრთან კონსულტაციებით, შეუძლია დანიშნოს და ჩაატაროს სამართალმემკვიდრე, საყოველთაო, დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნები. რაც შეეხება პუტჩის შემდგომ ე.წ. არჩევნებს: 1992 წელს საქართველოს უზენაესი საბჭოს არსებობის პირობებში ხუნტამ თვითნებურად დანიშნა და "ჩაატარა" ფსევდოარჩევნები; ხალხის აბსოლიტურ უმრავლესობას მონაწილეობა არ მიუღია ამ ფარსში; ის ე.წ. პარლამენტი დაკომპლექტდა ე.წ. საკომპენსაციო სიებით! ასევე უკანონო და არამხოლოდ არასამართალმემკვიდრე, არამედ, არასაყოველთაო იყო მომდევნო ე.წ. არჩევნებიც... ასე, რომ არც პრეზიდენტი გამსახურდია და არც უზენაესი საბჭო საქართველოს მოსახლეობას ჯერ არ გადაურჩევია!



*3. სხვა მომსვლელი წუხდა: საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არჩევნებს თუ დანიშნავს და შემდეგ არჩევნებში წააგებს, ამით ლეგიტიმურობა შეიძლება მოიპოვოს საქართველოს გამყიდველმა პუტჩის მომწყობმა ძალებმა... ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ არჩევნები არ უნდა დანიშნოს და არც მონაწილეობა არ უნდა მიიღოს!"*

**ვპასუხობთ:** არჩევნებს თუკი კიდევ ჩაატარებს უკანონო ხელისუფლება და კიდევ 4-5 წლით გაიხანგრძლივებს არსებობას, საბოლოოდ და სამუდამოდ დააქცევს საქართველოს... 10 წელია საქართველო მოსეს უდაბნოში ხეტიალობს! აღარ დადგა დრო, საქართველოში აღდგეს პუტჩით შელახული ღირსება ქართველი ერისა? მრგვალმა მაგიდამ" შეიძლება მართლაც ვერ მოიპოვოს ხმათა დიდი უმრავლესობა, მაგრამ არჩევნებს თუკი კანონიერი ხელისუფლება გააკონტროლებს და დაინტერესებულ კლანთ გაყალბების საშუალებას არ მისცემს, ბანდიტები ყველა შემთხვევაში ჩამოშორდებიან ხელისუფლებას; ქვეყანა გადავა სამართლებრივ სივრცეში და ასპარეზზე გამოვლენ საქართველოს ერთგული ახალი ძალებიც, რომლებსაც ყველა ხერხით თრგუნავს დე ფაქტო ხელისუფლება, ძალები, რომლებიც გააგრძელებენ ქუჯ-ფარნავაზის, გორგასალის, იოვანე მარუშისძის, დავითის, ბაგრატის... ილიას, ზვიადის გზას... მავანს ნუ ჰგონია, ქართველობა ისეთი დეზორიენტირებულია, რომ ისევ დღეს მოპარპაშე კლანები დაიტოვოს ხელისუფლებაში! ვიმეორებთ:

მთავარია, ჩატარდეს ლეგიტიმური და სამართლიანი არჩევნები.

**და, ბოლოს.**

პატივცემულო მკითხველო!

საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დღევანდელი დინებები შეიძლება შევადაროთ ორი დიდი მდინარის აუზს. მაგალითად, კავკასიონიდან იღებს სათავეს რიონიც და თერგიც: რიონი, თავისი შენაკადებით აღვსილი, ჩამოედინება შავ ზღვაში და ხმელთაშუა ზღვის შუალობით უერთდება მსოფლიო ოკეანეს, ხოლო თერგი - უერთდება კასპიის ზღვას თუ ტბას... შდრ., საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრე, ლეგიტიმური არჩევნების მომხრე პარტიათა ძალისხმევა "ჩაედინება" საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს მაცოცხლებელ უშრეტ ოკეანეში, ხოლო პუტჩისტთა მემკვიდრეობით აღბეჭდილი ვადამდელი თუ "დროული" არჩევნებ-გარიგების მომხრენი უერთდებიან უკანონობის იმ მდინარებას, რომელიც ტბორულ ჩიხებში იკარგება...

**ტარიელ ფუტკარაძე**



გვ. 5

# თქვენ იხარეთ, ოღონდაც

ვხედავდით, ყველაფერი გვესმოდა, მაგრამ ზეცად ამაღლებულებს არ შეგვეძლო სამადლობელი შემოგვეთვალა დამწუხრებული ერისათვის. იმითღა ვინუგეშეთ სული ჩვენი, რომ ვიცოდით, მომხდარით საბოლოოდ გამოღვიძებული ქართველობა აღარ დაიცხრობდა აღულებულ გონებას და ამჯერად მაინც აღარ დათმობდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოახლოებულ შესაძლებლობას. ჩვენდა გასახარად, აგვიხდა სურვილი - ხალხი სწორი და მართალი გზით წავიდა. ანდა სხვანაირად რად მოიქცეოდა, როცა წინამძღოლებად ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ჰყავდათ.

თუმცა, ბნელი ძალებიც არ მოეშვნენ. არც მათ დაიკრიფეს გულხელი. იცოდნენ, ახლა უფრო მეტად მართებდათ ქართველთათვის ფეხის დადება და ზურგში მახვილის ჩაცემა, ძმათა წაკიდება, საკუთარ მიწაზე შეფარებული და სითბოგანაწილებული უცხო ტომების დაპირისპირება. ასე დაიწყო ქვემო ქართლის აშლა. ისევ დაიხოცნენ ქართველები და ისინი ჩვენ სულთა საძმოს გულნატკენ ნამატად გადაიქცნენ. არა, ნამდვილად არ გვინდოდა ამგვარად ზრდა და მატება, მაგრამ ჩვენს სულთა შფოთვა-ღელვაზე და სურვილზე არ იყო ეს დამოკიდებული. თურმე უფალი კვლავაც გვიმზადებდა განსაცდელსა და საწუხარს.

აფხაზების ჯერი დადგა. ზეციდან დავყურებდით სოხუმში დატრიალებულ უსამართლობას, დავინახეთ მართალ ქართველთა ულმერთო სიკვდილი და ჩვენი კვნესა-ვარამი უხმოდ ჩაინთქა ერის მორიგ გოდება-ვაებაში. ისევ გაიზარდა ჩვენი სულების საძმო, მაინც არ ვიქეცით ჯაბნებად, ხელი არ ჩავიქნიეთ.

რა ვიცოდით, რაოდენ დიდი, უზომო უბედურება გველოდა თურმე - ოქტომბრის იმ შავსა და მოღუშულ დღეს, მეხი დაატყდა სრულიად საქართველოს - იბერიელთ მერაბ კოსტავა გამოეცალათ ხელიდან. ისევ წამოვიდა ცრემლის ნიაღვარი, ისევ გაეხვივნენ ძაძებში ქართველები. ვხედავდით, გვესმოდა როგორ ხარობდნენ შინაური თუ გარეული მტრები ჩვენს ვაებასა და დაღონებაზე, ფიქრობდნენ, ახლა მაინც დავეცემოდით, გავნადგურდებოდით. მაგრამ, პირიქით მოხდა, უზომო მწუხარებამ კაჟივით გაამაგრა ხალხი და ერთად შეაკვრევინა პირი, უფრო მეტად გაუღვივა სურვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისა.

დავყურებდით სათაყვანებელი ერისკაცის წმინდა სავანეში დაკრძალვას და უდიდეს ტკივილთან ერთად მხურვალე ლოცვას ვუგზავნიდით ერს, უმძიმესი დარტყმის მონელების, შეკვრა-შეკავშირების გამო. მას 'მერე ჩვენთან არის ეროვნული გმირის სული, გვწინამძღოლობს და გვამხნევებს, გაუნელებელი ლოცვა-კურთხევით აღვავლენთ მხურვალე სურვილს, უმთავრეს ვედრებას უფლისადმი - მალე გადმოგვახედოს თავისუფალ, თავისი თავის ბატონ-პატრონ იბერიაზე. მალე იქნებაო, გვარწმუნებს წინამძღოლი, ისევ ლოცვა-ვედრებისკენ მოგვიწოდებს და ყველანი ქართველთა შეკავშირებისა და თანხმობის დამყარებას ვნატრობთ.

მაინც გრძლად, დამღლელად გვეჩვენება ქართველთა სანუკვარ მიზნამდე მისასვლელი გზა, თუმცა დღემდე კარგა გვარიანი მანძილია გავლილი. მაგრამ ვაი, რომ იგი ეკალ-ძეძვიანია, ცრემლითა და სისხლით დამბალი. მისი გავლისას წარმატებაც იყო და სიხარულიც, მაგრამ მარცხი და ტკივილი მაინც სჭარბობდა. დაგყურებდით და სული გვინათდებოდა შეკავშირებულებს, შეთანხმებულებს რომ გხედავდით, ვიტანჯებოდით და სული გვითრთოდა დაყოფილებსა და დაპირისპირებულთ რომ გიმზერდით. ასეთ შემთხვევაში მომეტებულად ვშფოთავთ და განვიცდით, უზომოა ჩვენი წუხილი და ტანჯვა. ნეტავ იცოდეთ, როგორც გვტკივა, როგორ გვანადგურებს თქვენი უპირობა და შუღლი, განზე ყურება და ერთმანეთზე აუგის თქმა.

ყველაზე დიდი სიხარული შარშან, ოქტომბერში დაგვეუფლა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გადავიტანეთ ის ბედნიერი და ნანატრი დღე. თუმცა რას ვამბობთ, რატომაც ვერ უნდა წარმოიდგინოთ, განა თქვენ არ იყავით შემქმნელნი მისი? როგორც იქნა ქართველებმა ხმამაღლა, დაუფარავად, თავისუფლად თქვეს და გააკეთეს უმთავრესი საქმე - ღირსეულთ და სასურველებს ჩააბარეს სამშობლოსა და ერის ბედი, მომავალი. წინამძღოლობაც დიდებულ ერისკაცს მიანდეს, თანამოსაქმეებიც საიმედონი და სასურველნი მიუჩინეს.

გავიხარეთ, გავლაღდით, თვალებში გამოვიხედეთ, თუმცა, ბედკრული სამშობლოს ბედის მცოდნეებს მაინც შიში გვქონდა, კვლავაც ტკივილისა და უსიამოვნების მიყენებისა. და აკი არც გვიმტყუნა უხილავმა გრძნობამ. საქართველოს უძველეს კუთხეში დანთებული ცეცხლის მწარე კვამლმა შეგვაყოვნა ამჯერად. უმადურმა, სულგაყიდულმა, ჩვენი გულების სითბოთი და ადამიანურობით ნაბარტყევ-მომრავლებულმა ოსებმა ენით უთქმელი უბედურება დაატრიალეს. უკვე მერამდენე თვეა ვუყურებთ ქართველთა ძნელად მოსათმენ აწიოკებას, რჩეულ ვაჟკაცთა უმოწყალოდ ხოცვას, ველურად და მუხანათურად ანგარიშის გასწორებას, ჩვენი ხალხის აყრას და ოსების უადამიანობით სულშეძრულებს ძალზე გვიჭირს დამშვიდება, გონიერების მოხმობა. მაგრამ, ახლა თითქმის გვიბრუნდება სალი განსჯის უნარი, ისევ ჩვენი ხალხის სიბრძნის, თავშეკავების, გონიერებისა და ჭკვიანური მომქმედების იმედი გვაქვს. განა ვის უნდა ვუმტკიცოთ, რომ მართლები ვართ და სწორად ვიქცევით, ყველაფერი ხომ თვალნათლივ ჩანს. მოსკოვიდან წამოსულ სისინსა და დაუშურვებლად ბოძებული იარაღის ხმარებას, სულ მალე ქართული ჭკუა, ღონიერი მარჯვენა დაასამარებს. იბერიელთა მოთმინებასაც თავისი მიჯნა უძევს. სამარადისო დიდება სამაჩაბლოსთვის თავდადებულ ვაჟკაცებს. მათი სულები ახლა ჩვენს ლაშქარს არიან შემოერთებული და აფორიაქებული დასტრიალებენ მამულის, ერის ბედ-იღბლის ხვალინდელ დღეს.

მომეტებულად მოგვეძალა ფიქრი და დარდი მარტის ბოლო დღეებში. ანკი რა დაგვამშვიდებდა, ქართველებს ხომ უდიდესი გამოცდის ჩაბარება ელოდათ - მათ ოფიციალურად, მტკიცედ უნდა განეცხადებინათ თანხმობა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენაზე.

მზერაგამახვილებულები დავყურებდით, სულგანაბულები ვუსმენდით იბერიას 31 მარტის გარიჟრაჟიდან საღამომდე. გვიხაროდა, ვნატრობდით ქართველთა, მათ მიწაზე მცხოვრები სხვა ერების მიერ თანხმობის ერთსულოვნად, მხურვალედ გამოხატვას. როგორ ბედნიერები ვიყავით თქვენთან ერთად, ზეცად ამაღლებულები. ეს ხომ უდიდესი მოვლენა იყო, დაჯერებით გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯი საბოლოო მიზანთან და სურვილთან მიახლოებისათვის.

იმისი იმედიც მოგვეცა, რომ განზე გამდგარნი და ალმაცერად მომზირალნიც შემობრუნდებიან, მხარს გაუსწორებენ, თანხმობას მისცემენ ქართულ პარლამენტს, მის თავკაცებს. გვჯერა, საბოლოოდ დარწმუნდებიან მხოლოდ ამგვარად მოქმედების აუცილებლობაში. რომ მხოლოდ ერთად ყოფნით, ერთი აზრით, მიტევებითა და ურთიერთსიყვარულის გამჟღავნებით დადგება დღე ნეტარი და სანატრელი.

...ისევ დადგა 9 აპრილის განთიადი საქართველოში, სევდა მოგვეძალა ზეცად აღვლენილებს, უფალმაც თანაგვიგრძნო და მზე არ გააკარა იმ დღეს იბერიას. თუმცა რა ვიცოდით, თურმე რაოდენ დიდსა და განუზომელ ბედნიერებას გვიმზადებდა. იმ დილით შეკრებილმა ქართულმა პარლამენტმა წინამძღოლის წინადადებით უმთავრესი გასაკეთებელი აღასრულა - საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა. დარბაზში ატეხილმა ტაშისცემამ და შეძახილებმა შეგვძრა. ნეტარებით ატირდა ცად ამაღლებული ყველა ქართველის სული და სწორედ ჩვენი ცრემლები იყო, იმ დღეს გაუჩერებლად რომ აწვიმდა საქართველოს. დავყურებდით ყვავილებსა და ქართველებში ჩაძირული ჩვენი აღსრულების ადგილს და ხმას ვუერთებდით აქაური წინამძღოლის, ლომგულ მერაბ კოსტავას ღმერთისადმი აღვლენილ ვედრებას სამშობლოს გადარჩენაზე, ქართველთა ერთიანობაზე.

იყავით ერთად, ხმა და ძალაგაერთიანებულები დადექით მამულის დასაცავად, სისხლიანი მარწუხიდან თავის გამოსახსნელად, იბერიის სამარადჟამოდ გასაბრწყინებლად. ჩვენ კი ტანჯულნი და წამებულნი, მაგრამ მაინც ნეტარნი და ზეცად ამაღლებულნი, ჩვენსას გავაკეთებთ, ზეციურ ფარად დავეფარებით მრავალტანჯულ სამშობლოსა და უდრეკ ერს, ლოცვა-ვედრებას არ მოვაკლებთ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას, მის მკვიდრთ, მათს ჭკვიანსა და უშიშარ წინამძღოლს ზვიადს. იარეთ ამ გზით, რომელსაც იგი ადგას - ის თავისუფალ საქართველოსთან მიდის.

ეს არის ჩვენი გაუნელებელი ფიქრი, მალე ასახდენი ოცნება. თქვენ იხარეთ ოღონდაც, იბედნიერეთ სამშობლოს თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით, იბერიის გაბრწყინებით და ჩვენს ნაგვემ-ნაიარევ სულს ნებით შეწირულად ჩავთვლით; ალალი იყოს და უყვედრებელი.

*გელა ჯიღაური*

*1991 წ., აპრილი*

**1989 წლის 9 აპრილი**

**8 წლის ილონა მარგალიტაძის ნახატი**



რედაქციის მცირე კომენტარი: პატარა ილონას აღქმით 1989 წლის 9 აპრილს ქართველი ქალების სისხლი დაღვარეს ფაშისტურმა და საბჭოთა ტანკებმა

# ვახტანგ ჩიხრაძე



გარდაიცვალა სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მთიან რაჭაში დაბადებული კაცი - ვახტანგ ლუკას ძე ჩიხრაძე.

ბატონი ვახტანგი დაიბადა 1940 წლის 24 აპრილს, ონის რაიონის სოფელ გომში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1962 წელს ჩამოდის გორში და მუშაობას იწყებს გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრში - სტაჟიორად, 1964 წლამდე.

1964-69 წლებში ბატონი ვახტანგი გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტია. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ გორის რაიონის სოფელ შავშვების სკოლაში, ხოლო 1972 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში (შემდეგ კოლეჯი.

ბატონ ვახტანგ ჩიხრაძის სახით რაჭისა და გორის საზოგადოებამ, სრულიად საქართველომ, დაკარგა თავის ერზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი, რომელიც დიდი ილიას, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას იდეებით იყო გამსჭვალული. იგი იყო შიდა ქართლის რეგიონული „ჰელსინკის კავშირის" ყოფილი თავმჯდომარე, მონაწილეობდა ეროვნული ხელისუფლების მიერ მოწყობილ ყველა საპროტესტო აქციაში.

1991 წელს არჩეული იყო დეპუტატად ქალაქის საკრებულოში.

ბატონი ვახტანგი მამულისადმი სიყვარულით მუხტავდა ოჯახის წევრებს, თავის მოსწავლეებს და საერთოდ მომავალ თაობებს. ვის გვერდით არ იხილავდით ბატონ ვახტანგს. ყოველთვის მისი საუბრის თემა და საფიქრალი დღევანდელი გაპარტახებული და დაკნინებული საქართველო იყო. მაინც იმედს უნერგავდა ყველას, რომ აღსდგებოდა კანონიერება, უზენაესი საბჭო, მისი დეპუტაციით და საქართველო ფეხზე დადგებოდა, გამთლიანდებოდა, ყველაფერს თავის სახელი დაერქმეოდა.

დიახ! ბატონი ვახტანგის ჩანაფიქრი შორს აღარაა, აღსდგება კანონიერება, ერი გამთლიანდება. ვაი, რომ ბატონი ვახტანგი აღარ გვეყოლება, მაგრამ ახალ ქვეყანას აამენებენ მისი შვილები, შვილიშვილები, სრულიად საქართველო და ყველა ჭეშმარიტი ქართველი, ვისაც „ენა, მამული, სარწმუნოების" გადარჩენა სურს.

ვემშვიდობებით ბატონ ვახტანგს! მსუბუქი იყოს მისთვის ქართლის მადლიანი მიწა! ილოცოს მისმა სულმა ოჯახისათვის, ერისათვის და სრულიად საქართველოსათვის.

*შიდა ქართლის ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო"*

*წმიდა ილია მართლის საზოგადოების გორის ფილიალი*

*ჰელსინკის კავშირის გორის ფილიალი*

გორის ჰელსინკის კავშირი და წმიდა ილია მართლის საზოგადოება მწუხარებით იუწყება ამ კავშირის ყოფილი თავმჯდომარის

**ვახტანგ ლუკას ძე ჩიხრაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქ. თბილისის სამგორის რაიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს გულიკო მწარიაშვილს დის

**თამარ ადამიშვილის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ფოთის ჰელსინკის კავშირი, წმიდა ილია მართლის საზოგადოება, რადიკალური კავშირი, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა სამძიმარს უცხადებს ქალბატონ შორენა ჭოჭუას ბიძაშვილის

**გიორგი ოტიას ძე ჭოჭუას**

გარდაცვალების გამო

საქართველოს ფოთის ჰელსინკის კავშირი, წმიდა ილია მართლის საზოგადოება, რადიკალური კავშირი, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდა სამძიმარს უცხადებს წმიდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრს, ბატონ დავით ჭოჭუას ძმის

**გიორგი ოტიას ძე ჭოჭუას**

გარდაცვალების გამო.

# 1991 წლის 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე

# 1991 წლის 31 მარტი – საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმის დღე

**საპეფერენდუმო ბიულეტენის კითხვა: თანახმა ხართ თუ არა, აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?**

**«დიახ»**

უპასუხა 3 266 285 ამომრჩეველმა.

**«არა»**

უპასუხა 17 400 ამომრჩეველმა.

„ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რეფერენდუმზე გამოხატული ხალხის ნების გათვალისწინებით, მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა წინაშე გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რათა საქართველომ დაიკავოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის“.

*ზვიად გამსახურდია*



საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

## 2002 წლის 31 მარტი - ჩემი ბედნიერი დღე

თითქოს ჩვეულებრივად გათენდა 2002 წლის 31 მარტი. თითქოს, მაგრამ არა!

დე ფაქტო ხელისუფლების კანცელარიის წინ, სადაც უკვე ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მრგვალი მაგიდის აქცია, გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საერთო-სახალხო რეფერენდუმის თერთმეტ და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის დაბადებიდან სამოცდამესამე წლისთავს.

განუზომელი იყო ის სიამოვნება, როცა ერთმანეთის გვერდით ვიყავით ქართველები და ყველა მხრიდან დახვეწილი სალიტერატურო ენით მოსაუბრე ორატორების ხმებს შუალედებში აქსებდა თბილისურ ჟარგონზე, თუ კახთა, მთიულთა, იმერთა, მეგრელთა, გურულთა თუ სხვა კუთხეების დიალექტებზე მოსაუბრეთა ხმები. 1991 წლის 31 მარტი გამახსენდა, დრო, როცა ქართველთა ერთმანეთისადმი თანადგომა სამაგალითო იყო და დიდი სიხარული განვიცადე.

მიტინგზე საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, მრგვალი მაგიდის სპიკერის, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გამოსვლა იყო ნიმუში სათნოებისა და მიმტევებლობისა, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის მებრძოლი ქართველისა, რომელმაც მოუწოდა უკანონო ხელისუფლებას დანაშაულის აღიარებისა და მოლაპარაკების გზით სამართალმემკვიდრე არჩევნების დანიშვნისაკენ.

ამაღლებული პათოსით გამოსულ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა სიტყვებში აშკარად ჩანდა გამარჯვებისათვის საჭირო მზადყოფნა.

ფაქტობრივი ხელისუფლების მხრიდან საყურადღებო იყო გიორგი თარგამაძისა და მანუჩარ მაჩაიძის გამოსვლა. მათ საუბარში ჩანდა შევარდნაძის, აღმასრულებელი ხელისუფლების მხილება და საქართველოს ნგრევაში მათი დადანაშაულება, თუმცა ავიწყდებოდათ, რომ ნებსით, თუ უნებლიედ სახელმწიფოს დეგრადაციაში მათი ხელისშემწყობნი და ხშირად თანაზიარნიც იყვნენ. უკეთესი იქნებოდა, ესაუბრათ საქართველოს სინამდვილეში არსებული ორხელისუფლებიანობის შეწყვეტის აუცილებლობაზე და მიემართათ დე ფაქტო პარლამენტის სხვა წევრებისათვის, რომ სასწრაფოდ დათანხმდნენ დე იურე ხელისუფლებასთან დიალოგზე, რაც უეჭველ საფუძველს შეუქმნიდა საერთო-სახალხო შერიგებას.

იმედია, საქართველოში აქტიურად მოქმედი ფართო პოლიტიკური სპექტრი გამოიჩენს კეთილგონიერებას და სამშობლოსათვის, ქართველი ერისთვის გამოეხმაურება მრგვალი მაგიდის მემორანდუმის, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის დაწყების სრული გარანტის, დაუყოვნებლივ ამოქმედების აუცილებლობას.

*აკაკი ბაქურაძე*

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ტარიელ ფუტკარაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი იონა ბანძელაძე
გაზეთის დირექტორი აკაკი ბაქურაძე
გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/5/გ-4818
რედაქციის მისამართი: ქუთაისი, კვერაძის 32. ტელ.: 8 231 2-10-03; 8 77 47-69-05
ელ. ფოსტა: kuji@posta.ge; გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/kuji

## ბაზალეთის ტბის ძირას კვლავ ჩავძირეთ აკვანი

გვ. 7

დამონებულ-დაბეჩავებული ადამიანები, რომლებიც ტაშს უკრავენ დღევანდელ პრეზიდენტს, და მისკენ მათხოვრულად ხელებგაშვერილებს ყველა ადამიანური ღირსება დავიწყებიათ. შენც და შენისთანა მწერლებიც ხომ ასეთთა რიგებში დგახართ. ვინ არის დღეს პირველობის მანიით შეპყრობილი და ვისია საქართველო?

*„ხალხნო, ამერ-იმერსა სიზმრად*
*ვხედავ სისხლიანს,*
*ვისაც სისხლი სწყურია,*
*საქართველო მისია“.*

ბატ. ჯანსუღ! გეკითხები: ვინც დღეს ამერ-იმერს სიზმარში ხედავს სისხლიანს, და არა ცხადად - დღისით, მზისით, ნუთუ ის კაცი, და მით უმეტეს პოეტი, - ცოცხლებში ჩასათვლელია? ვის სწყუროდა და ვის სწყურია სისხლი, - ქართველთა უმრავლესობას და მის მიერ არჩეულ პირველ პრეზიდენტს, რომელიც ხალხს მოუწოდებდა: „ტყვიების მაგიერ ჩვენ ვარდები ვესროლოთ მოძალადეებს, ეგებ შეიგნონ რამე“, თუ ვინც 9 აპრილის ტრაგედია მოუწყო ქართველებს კრემლის მითითებით, ვინც შემდეგ იარაღის ძალით განდევნა ეროვნული მთავრობა და პირველი პრეზიდენტი; შევარდნაძემ ხომ სისხლის ტბები დააყენა საქართველოში და ექვსჯერ აატირა და აწიოკა დასავლეთ საქართველო - სამეგრელო. ეს ყველაფერი მისი მთავარსარდლობით მოხდა და საქართველოც მისია და რადგანაც მისია, ამის გამოც სხვისია. მრავალთან ერთად შენ დღესაც ხომ იმედით შესციცინებ დამანგრეველ სისხლიან პრეზიდენტს?

*„ვეძებთ ხელის ცეცებით, ვეძებთ*
*ხელის კანკალით*
*ბაზალეთის ტბის ძირას ვერ*
*ვიპოვეთ აკვანი“.*

ბატ. ჯანსუღ! გეკითხები: რა არის იმის მიზეზი, რომ დღემდე ვერ გაგიცნობიერებიათ ვერც შენ და ვერც შენისთანებს უდავო ჭეშმარიტება - ქართველმა ხალხმა ხელის ცეცებით და ხელის კანკალით ბაზალეთის ტბის ძირას იპოვა ოქროს აკვანი - თავისუფლება, მაგრამ გარეშე ძალების მიერ წარმოგზავნილმა შევარდნაძემ, ადგილობრივ მოსყიდულ კრიმინალურ ძალებზე დაყრდნობით დაგვაკარგვინა იგი, რაც შენ და ძმათა შენთა არაფრად გედარდებათ. უპრიანი იქნებოდა, განხილული ლექსი დაგემთავრებინა ასე:

*„ბაზალეთის ტბის ძირას*
*კვლავ ჩავძირეთ აკვანი“.*

*ჯიბო ჯიმერი*

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია ულოცავს ამავე ორგანიზაციის წევრს სპარტაკ ჩინჩალაძეს დაოჯახებას, უსურვებს ბედნიერ და ჯანმრთელ მომავალს.